

დაძლიე მაქსიმალიზმი!

მაქსიმალისტი ადამიანი ცდილობს, ყველაფერში უნაკლო და უმეცდომო იყოს, რის გამოც ხშირად უკმაყოფილოა საკუთარი თავითა და სხვებით. შენც მაქსიმალისტი ხომ არ ხარ? თუ ასეა, გაითვალისწინე ქვემოთ მოცემული რჩევები.

1 დაადგინე პრობლემა

აქ ჩამოთვლილი სიტუაციებიდან, ყველაზე მეტად როდის ავლენ მაქსიმალიზმს?



სკოლა
(ცოფდები, როცა უმაღლეს ქულას ვერ იღებ).



სახლი
(ძალიან ბრაზდები, როცა შენს ოთახში ნივთები თავის ადგილზე არ დევს).



მეგობრები
(არავის პატიობ შეცდომებს, განსაკუთრებით მეგობრებს).



სხვა

ახლა დაფიქრდი შენ მიერ არჩეულ სიტუაციაზე. კონკრეტულად, როდის ავლენ ხოლმე მაქსიმალიზმს?

2 სიტუაციას სხვა თვალით უხედე

ბიბლიაში წერია, რომ „ზემოდან მომავალ სიბრძნეს . . . ახასიათებს გონიერება“ (იაკობი 3:17). როგორ შეგიძლია გამოავლინო გონიერება და მეტისმეტი არ მოსთხოვო საკუთარ თავსა და სხვებს იმ სიტუაციაში, რომელიც ზემოთ აღნიშნე?

► ნაცვლად იმისა, რომ . . .

► შემიძლია . . .



3 აირჩიე ბიბლიური მუხლი

ყველაზე მეტად, რომელი ბიბლიური მუხლი შეესაბამება შენს სიტუაციას?

- „რას ითხოვს იეჰოვა შენგან, თუ არა . . . მოკრძალებულად სიარულს შენს ღმერთთან ერთად?!“ (მიქა 6:8).
- „დანაშაულს რომ აკვირდებოდე, იაჰ, ვინ დაგიდგებოდა, იეჰოვა?!“ (ფსალმუნი 130:3).
- „არ არსებობს მართალი კაცი დედამიწაზე, რომელიც კარგს აკეთებდეს და არ სცოდავდეს“ (ეკლესიასტე 7:20).
- „ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას“ (რომაელები 3:23).
- „ყველასთვის ცნობილი გახდეს თქვენი კეთილგონიერება“ (ფილიპელები 4:5).

როგორ დაგეხმარება ეს მუხლი მაქსიმალიზების დაძლევაში?

4 აირჩიე მისაბაძი მავალითი

ვის გსურს, მიბაძო გონიერების გამოვლენაში და რატომ?



„როცა ვამჩნევ, რომ მაქსიმალისტივით ვიქცევი, ვიხსენებ იმ ადამიანებს, ვისთან ურთიერთობაც მსიამოვნებს და ვის გვერდითაც თავს კომფორტულად ვგრძნობ. მინდა, რომ ჩემ გვერდითაც ასე ვგრძნობდნენ სხვები თავს. ეს მენმარება, დაეძლიო მაქსიმალიზმი“ (ანა).



5 დაისახე მიზანი

რა მიზანი შეგიძლია დაისახო მაქსიმალიზმის დასაძლევად?

„თუ რაღაც ისე არ გამოგივიდა, როგორც ჩაფიქრებული გქონდა, გული არ გაიტეხო. შეახსენე საკუთარ თავს, რომ ყველაფერი გააკეთე, რაც შეგიძლო. იფიქრე დადებითზე და გახსოვდეს, რომ ყოველი შეცდომა რაღაც ახალს გასწავლის“ (კარა).